დამტკიცებულია

თსსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

2017 წლის 3 ოქტომბრის #23/12 დადგენილებით

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასების და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის დებულებაში შესატანი ცვლილება

მუხლი 1. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 18 მარტის N23/3 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში შესატანი ცვლილების შეტანის თაობაზე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 18 მარტის №23/3 დადგენილებით დამტკიცებული თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასების და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის დებულებაში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

3.1. ამ დებულებისა და საშტატო ნუსხის შესაბამისად დეპარტამენტში დგინდება შემდეგი თანამდებობები:

ა) დეპარტამენტის უფროსი;
ბ)განყოფილებების უფროსები;
გ) მთავარი სპეციალისტები;
დ) უფროსი სპეციალისტები;
ე) სპეციალისტი;

მუხლი 2. ცვლილება ძალაში შევიდეს დადგენილი წესით დამტკიცებისთანავე.

საქართველოს იურიდიული პირი
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
TBILISI STATE MEDICAL UNIVERSITY
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW
211328703

დამტკიცებულია

თსსუ–ის წარმომადგენლობითი საბჭოს

2008 წლის 18 მარტის N23/3 დადგენილებით

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასების და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის

დებულება

თავი 1. ზოგადი დებულებები

1.1. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასების და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტი (შემდგომში-დეპარტამენტი) წარმოადგენს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (შემდგომში "უნივერსიტეტი") სტრუქტურულ ერთეულს.

1.2 დეპარტამენტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, "უმაღლესი განათლების შესახებ", "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონებით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, თსსუ-ს წესდებითა და შინაგანაწესით, უნივერსიტეტის მართვის ორგანოების ადმინისტრაციული აქტებით და ამ დებულებით.

თავი II. დეპარტამენტის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

2.1. დეპარტამენტი ახორციელებს შემდეგ ფუნქციებს:

ა) არსებული ტრადიციებისა და მსოფლიო საუნივერსიტეტო განათლების პრაქტიკის საფუძველზე სასწავლო პროცესის იმგვარად ორგანიზება და მეთოდური უზრუნველყოფა, რომ მიღწეულ იქნას ღრმა განსწავლული, მაღალზნეობრივი და კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება. ამ მიზნით დეპარტამენტი მონაწილეობს:

ა.ა. საუნივერსიტეტო განათლების კონცეფციის სარეალიზაციო მეთოდების, ფორმებისა და საშუალებების შემუშავებაში;

ა.ბ. სტუდენტთა კონტიგენტისა ფორმირების, სწავლების და დინამიკის ყველა საკითხის დამუშავებასა და გადაწყვეტაში;

ა.გ. პროფესორ–მასწავლებელთა კორპუსის დაკოპლექტების და დატვირთვის რეგულირების საკითხების მომზადებასა და გადაწყვეტაში;

ა.დ. სასწავლო გეგმების, პროგრამებისა და სხვა ადმინისტრაციულ–სამართლებრივი დოკუმენტების შედგენასა და ექსპერტიზაში;

ბ) აანალიზებს სწავლების პროცესის თითოეული ეტაპის მიმდინარეობასა და შედეგებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო პროცესის ოპტიმალურად წარმართვისათვის;

გ) ახორციელებს სასწავლო პროცესში მონაწილე ყველა რგოლის შესწავლას, აანალიზებს და აზოგადებს შემოწმების შედეგს;

დ) საუნივერსიტეტო საინფორმაციო ცენტრთან ერთად მონაწილეობს სასწავლო–მეთოდური საქმიანობის კომპიუტერული უზრუნველყოფის სისტემის შექმნასა და გაუმჯობესებაში;

ე) ახორციელებს სასწავლო პროცესის სხვა საორგანიზაციო და საკონტროლო ფუნქციებს;

ვ) ახორციელებს სასწავლო და მეთოდურ საქმიანობასთან დაკავშირებული ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებების (კონტრაქტების) გაფორმების ორგანიზაციას;

ზ) სტუდენტთა რეგისტრაციის ზედამხედველობას და კოორდინაციას;
თ) სასწავლო დოკუმენტაციის – მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დიპლომები, სერტიფიკატები) შენახვის, შევსებისა და გაცემის უზრუნველყოფას;
ი) შეიმუშავებს და რეკომენდაციებს უწევს სწავლების ახალ მეთოდებსა და საშუალებებს;
კ) მონაწილეობს სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან გადმოსაყვან სტუდენტთა კონტიგენტის შერჩევაში;
ლ) კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს მიმოწერას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და სხვადასხვა ქვეყნის სამედიცინო უმაღლეს სასწავლებლებთან სტუდენტთა სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე.

თავი III. დეპარტამენტის შემადგენლობა

3.1. ამ დებულებისა და საშტატო ნუსხის შესაბამისად დეპარტამენტში დგინდება შემდეგი თანამდებობები:
ა) დეპარტამენტის უფროსი;
ბ)განყოფილებების უფროსები;
გ) მთავარი სპეციალისტები;
დ) უფროსი სპეციალისტები;
ე) სპეციალისტი;

თავი IV. დეპარტამენტის და მისი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელობა

4.1. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს დეპარტამენტის უფროსი, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს რექტორი;
4.2. დეპარტამენტის უფროსი ანგარიშვალდებულია რექტორის წინაშე;
4.3. დეპარტამენტის უფროსი:
ა) წარმართავს დეპარტამენტის საქმიანობას, წყვეტს დეპარტამენტის გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებს;
ბ) ანაწილებს მოვალეობებს დეპარტამენტის მუშაკებს შორის, აძლევს მათ შესასრულებლად სავალდებულო მითითებებსა და დავალებებს;
გ) თვალყურს ადევნებს დეპარტამენტის სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ თავიანთი მოვალეობის შესრულებას;
დ) ხელს აწერს და ვიზას ადებს დეპარტამენტში მომზადებულ დოკუმენტებს;
ე) ანგარიშვალდებულია დეპარტამენტის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.
4.4. დეპარტამენტში შემავალ განყოფილებებს ხემძღვანელობს შესაბამისი განყოფილების უფროსი, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამბდებობიდან ათავისუფლებს რექტორი. განყოფილების უფროსი ანგარიშვალდებულია დეპარტამენტის უფროსის წინაშე.
4.5. განყოფილების უფროსი:
ა) განყოფილების უფლებამოსილების ფარგლებში უშუალოდ მონაწილეობს და წარმართავს განყოფილების საქმიანობას.
ბ) ანაწილებს განყოფილებაში შემოსულ მასალებს და დავალებებს, კოორდინაციას უწევს მათ შესრულებას.

გ) პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია განყოფილებაზე დაკისრებული ფუნქციების შესაბამის ვადებში ხარისხიანად შესრულებაზე.

4.6. დეპარტამენტის თანამშრომლებს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს რექტორი. თანამშრომლები ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელი არიან შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფისა და დეპარტამენტის უფროსის წინაშე.

4.7. დეპარტამენტის საშტატო რიცხოვნობა განისაზღვრება უნივერსიტეტის საშტატო განრიგით.

4.8. დეპარტამენტის საქმიანობის ცალკეულ მიმართულებებს რომლებიც არ არის გათვალისწინებული უნივერსიტეტის საშტატო განრიგით, შესაბამისი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს მოწვეული პირი.

თავი V. დეპარტამენტის სტრუქტურა

5.1. დეპარტამენტის შემადგენლობაში სტრუქტურული ქვედანაყოფების სახით შედის:

ა) სასწავლო პროგრამების მართვისა და შეფასების განყოფილება.

ბ) სტუდენტთა რეგისტრაციის და მკაცრი აღრიცხვის სასწავლო დოკუმენტაციის განყოფილება

თავი VI. დასკვნითი დებულებები

6.1. დეპარტამენტის დებულებას ამტკიცებს თსსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭო.

6.2. დეპარტამენტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.